EUROPEAN DAYS OF LOCAL SOLIDARITY

#LocalSolidarityDays

www.localsolidaritydays.eu

ადგილობრივი სოლიდარობის ევროპული დღეების ქარტია

ევროპული ქალაქები და რეგიონები მზად არიან აჩვენონ მსოფლიოს, რომ გლობალური ცვლილებები ადგილობრივი ქმედებებიდან მოდის და მათ სურთ თავიანთი მოქალაქეების ჩართულობა ამ პროცესში!

წინასიტყვაობა

ქალაქები და რეგიონები ევროპაში **მთავარ როლს ასრულებენ მდგრადი ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობაში** როგორც სახლში, ისე მის ფარგლებს გარეთ. სხვათა შორის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგით განსაზღვრული 17 მდგრადი განვითარების მიზანი (SDGs) პირდაპირ ეხება ადგილობრივი და რეგიონული მთავრობების პოლიტიკის სფეროებს.

ქალაქებმა და რეგიონებმა **ინფორმაცია უნდა გაავრცელონ და გააქტიურონ თავიანთი მოქალაქეები** რათა გახდნენ უფრო აქტიური და პასუხისმგებელი მოქალაქეები. გლობალური განვითარება იწყება თითოეული ჩვენი ყოველდღიური მოქმედებით. ევროპის ადგილობრივი მთავრობები მზად არიან აჩვენონ მსოფლიოს, რომ გლობალური ცვლილებები ადგილობრივი ქმედებებიდან მოდის და მათ სურთ თავიანთი მოქალაქეების აქტიური ჩართულობა !

2016 წელს, ევროპის ქალაქებისა და რეგიონების ჯგუფმა და მათმა ეროვნულმა ასოციაციამ გადაწყვიტეს ერთობლივად წამოეწყოთ **2 კვირიანი ყოველწლიური კამპანია**, რათა ხელი შეუწყონ გლობალური სოლიდარობისა და მდგრადი განვითარებისადმი ერთგულებას, ისევე როგორც დემოკრატიის, მრავალფეროვნების, ევროპული ღირებულებების მხარდაჭერას და სოლიდარობას: ასე დაიბადა ადგილობრივი სოლიდარობის ევროპული დღეები (EDLS).

3 მიზანი

მოქალაქეების და ყველა ადგილობრივი პარტნიორის **ინფორმირება და მობილიზება** გლობალური განვითარების საკითხებზე, განსაკუთრებით **17 მდგრადი განვითარების მიზნის შესახებ**, რომელიც დასახულია გაეროს მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგით.

ხელი შევუწყოთ ჩვენს ჩართულობას გლობალური მდგრადი განვითარების მხარდასაჭერად ყველასთვის, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო დონეზე, როგორც **საერთაშორისო თანამშრომლობის აქტორები** და ავამაღლოთ დეცენტრალიზებული თანამშრომლობის პროფილი.

გავაძლიეროთ ჩვენი კავშირები ევროპის სხვა ქალაქებთან და რეგიონებთან, რათა **ვისწავლოთ, გავუზიაროთ და გავაერთიანოთ ძალისხმევა** უფრო ძლიერი ადგილობრივი მოქმედებისთვის. უკეთესი და გაძლიერებული ადგილობრივი მოქმედება, ცოდნის გაზიარება და გამოცდილების გაცვლა არის გასაღები გლობალური სოლიდარობის მხარდასაჭერად.

#LocalSolidarityDays

ჩვენი ხედვა

ჩვენ, ევროპის ადგილობრივ მთავრობებს, რომლებიც მონაწილეობენ EDLS-ში, გვჯერა უფრო ძლიერი და ადგილობრივ ინტერესებზე ორიენტირებული ევროპისა, რომელიც ჩართულია გლობალურ სოლიდარობაში!

- ჩვენ მხარს ვუჭერთ უფრო დემოკრატიულ, ინკლუზიურ და ძლიერ ევროპას, რომელიც **უფრო ახლოს არის თავის მოქალაქეებთან** და მტკიცედ არის ერთგული გლობალური სოლიდარობისა.
- ჩვენ მტკიცედ ვუჭერთ მხარს **მსოფლიოს ადგილობრივ მთავრობებს შორის სოლიდარობას,** როგორც გამოცდილების გაცვლის შესაძლებლობას, რომელიც განპირობებულია თანა პასუხისმგებლობით, ურთიერთპატივისცემითა და ორმხრივი ინტერესით. ასევე, ქველმოქმედებისგან განსხვავებით, პარტნიორებს შორის თანაბარ უფლებიანობით.
- ჩვენ გვჯერა, რომ **ინფორმირებული და მობილიზებული მოქალაქეები** არიან გასაღები ყველასთვის, მდგრადი განვითარების მისაღწევად.

ჩვენი ღირებულებები და პრინციპები

- **ევროპული ღირებულებები როგორიცაა დემოკრატია, თავისუფლება, სოლიდარობა,** ადამიანის უფლებები და თანაბარი შესაძლებლობები
- **პარტნიორობის პრინციპის პატივისცემა** საჯარო ხელისუფლებას, აკადემიური სექტორს, კერძო სექტორს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და კულტურულ თემებს შორის.
- **ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპის** პატივისცემა დემოკრატიული, სამართლიანი და ეფექტური მიდგომით.
- **მრავალფეროვნებისა და ინკლუზიურობის პრინციპის პატივისცემა,** რომელიც გზას უხსნის ყველა არსებულ პერსპექტივას და შეხედულებას განვითარებისა და სოლიდარობის შესახებ ევროპის ყველა ქალაქიდან და რეგიონიდან.
- **პოზიტიური და ოპტიმისტური დისკურსი გლობალურ სოლიდარობაზე,** ნეგატიური და არასასურველი იმიჯის თავიდან აცილება და წარმატებულ, კონსტრუქციულ, გრძელვადიან გადაწყვეტილებებზე ფოკუსირება.

შემოგვიერთდი!

EDLS თანაბრად ღიაა ქალაქებისა და რეგიონებისთვის იქნება ეს დიდი, პატარა, საშუალო, სოფლის, ქალაქური, ძველი თუ ახალი- რომლებსაც სურთ ჩაერთონ გლობალურ სოლიდარობაში და გამოცდილება გაცვალონ ევროპელ კოლეგებთან.

EDLS ასევე მოუწოდებს ევროპის ყველა მოქალაქეს და ადგილობრივ აქტორებს, როგორიცაა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, უნივერსიტეტები ან კერძო სექტორის წარმომადგენლები, რომლებიც მზად არიან აღმოფხვრან სიღარიბე და ხელი შეუწყონ მდგრად განვითარებას, ჩაერთონ თავიანთ საქალაქო ან რეგიონულ საკრებულოში რათა გაერთიანონ ძალისხმევა და გააძლიერონ გავლენის სფეროები.

წაიკითხე და შეუერთდი ქარტიას:
localsolidaritydays.eu/edls-charter/

გამოიყენეთ ჰეშთეგი:
#LocalSolidarityDays

ხელი მოაწერე ქარტიას

სახელი : .....

გვარი : .....

თანამდებობა : .....

ორგანიზაცია /ქალაქი/რეგიონი: .....

.....

○ ადგილობრივი ან რეგიონული ხელისუფლება

○ ასოციაცია, არასამთავრობო ორგანიზაცია

○ მოქალაქე, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია

ელ. ფოსტა : .....

ტელეფონი : .....

თარიღი და ხელმოწერა : .....

PLATFORMA
LOCAL & REGIONAL INTERNATIONAL ACTION

This project is co-funded by the European Union